# პურის ბარათები

ორშაბათიდან, 26 მარტიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროში

გაიცემა

## პურის ბარათები აპრილისათვის.

პურის ბარათები მიეცემა სასურსათო ბარათის (შაქრის) წარდგენის შემდეგ.

პურის ბარათების დარიგების დროს ახალი სერიის სასურსათო ბარათების (აპრილის, მაისის, ივნისის) მიცემა დროებით წყდება.

სახლის კომიტეტებმა კეთილ ინებონ და თავის დროზე მიიღონ სახლის ორგანიზაციის წევრებისათვის პურის ბარათები.

# ინსტრუქცია

### თუ როგორ მოეწყოს სახლის კომიტეტები.

2—3 მცხოვრები (ინიციატორთა ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მცხოვრებს საორგანიზაციო კრებაზე, რის შესახებაც 2 დღით წინ აცნობებენ და ამის შესახებ უწყებას გამოაკრავენ თვალსაჩინო ადგილას.

**შენიშვნა:** თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია, მაშინ 2—3 სახლი ერთდება.

**ნიმუში უწყებისა**

. . . . . . სახლში ყველა მცხოვრები, . . . . . ქუჩა № . . .
მოწვეულია საორგანიზაციო კრებაზე № . . . ბინაზე . . . (დრო) განსახილველია: 1) სახლის ორგანიზაციის პროექტი, 2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

**საინიციატივო ჯგუფი.**

კრების დანიშვნა სჯობიან საღამოსათვის, ან კვირა დღეს.

კრებას ხსნის საინიციატივო ჯგუფის წევრი და წინადადებას იძლევა აირჩიონ თავმჯდომარე კრებისა და მდივანი. უკანასკნელი ჩასწერს გვარებს იქ მყოფთა და ბინების №№, სადაც ისინი სცხოვრობენ და აწარმოებს სხდომის ოქმებს.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საინიციატივო ჯგუფს რომელსამე წევრს ეძლევა სიტყვა და იგი კითხულობს სახლის ორგანიზაციათა პროექტს.

**შენიშვნა:** დაბეჭდილი პროექტები წესდებისა შეიძლება მიიღოთ საუბნო საბარათო ბიუროებში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თავმჯდომარე წინადადებას იძლევა აირჩიონ კომიტეტის წევრთა იმდენი რიცხვი, როგორც წესდებაში იქნება.

კომიტეტის არჩევის შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ განცხადებას:

. . . . . . საუბნო საბარათო ბიუროში
. . . სახლში მცხოვრებთა . . . . .
ქუჩა № . . .

**განცხადება.**

ამით პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი შევიკრიბენით (რიცხვი და თვე) 1918 წ. ავირჩიეთ სახლის კომიტეტი (ამდენი და ამდენი კაცი აქა). სახელდობრ (სახელი და გვარები)

1918 წლის . . . (თვე და რიცხვი). 1134

# ინსტრუქცია სახლის კომიტეტს

1) საჭიროა რაც შეიძლება მალე (1 აპრილამდე მიიღოთ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მოუწოდოთ მსურველებს შეერთდნენ ჯგუფებად პურის მისაღებად.

2) აჭიროა გამოარკვიოთ რომელი ფურნიდან გსურთ პურის მიღება და ამ გვარი შინაარსის განცხადება შეიტანოთ საუბნო სასურსათო კომიტეტში:

**საუბნო სასურსათო კომიტეტს**

. . . . . . სახლის კომიტეტი . . . . . .
უბნის . . . . . ქუჩა № . . .

**განცხადება.**

პატივი გვაქვს გთხოვოთ გასცეთ განკარგულება მისცენ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით . . . . . ფურნიდან . . . (რიცხვი) . . (რ[illegible]) . . .

თავმჯდომარე . . , .

3. საჭიროა მოთხოვნის ქაღალდები მიიღოთ საუბნო საბარათო ბიუროში.

4. ხელმოწერილი განცხადება უმჯობესია თვითონ გაგზავნოთ აღნიშნულ ფურნეში და მეორე დღეს მოითხოვოთ პური მთელი ჯგუფისათვის.

5. საჭიროა თვითოეულ ბინას საკუთარი პარკი ჰქონდეს პურისათვის; ბინის № გარკვეულად უნდა იყოს აღნიშნული, აგრეთვე გვარი ბინის პატრონისა.

6. უნდა დაარსდეს რიგი ბინებისა, თუ რომელი ბინა როდის წავიდეს პურის მოსატანად და ეს რიგი თვალსაჩინო ადგილას უნდა იქნას გამოკიდებული.

7. მორიგე ბინა ვალდებულია პარკი და ფული მიიტანოს არა უგვიანეს საღამოს 4 საათისა.

8. სასურსათო ბარათების დაცემისას ყოველთვის საჭიროა შემოწმებულ იქმნას სია ოჯახის შემადგენლობისა.

9. საუბნო საბარათო ბიურო მხოლოდ სახლის კომიტეტებს აძლევს ბარათებს.

10. სახლის კომიტეტებმა ბარათების მისაღებად უნდა წარადგინონ მოთხოვნის ქაღალდი, ძველი ბარათები და სხვა საჭირო დოკუმენტები.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. 1133

## ტფილისი, 31 მარტი 1918 წ.

**სამშვიდობო მოლაპარაკება და სამხედრო სამზადისი.**

ოსმალეთის დელეგაციის უკანასკნელი ულტიმატუმის შემდეგ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მხოლოდ იარაღით ხელში-და შეიძლებოდა დაცვა საქართველოს თავისუფლებისა და შელახული ეროვნული თავმოყვარეობისა. და უპირისპირდა ერთმანეთს ორი ინტერესი: ამიერკავკასიის დემოკრატიისა, რომელსაც სწადიან ომის გათავება და დამოუკიდებელი მშვიდობიანი პოლიტიკური შემოქმედება და ოსმალეთის იმპერიალისტებისა, რომელთაც ძალ ან ნაკლები ყურადღება მიაქციეს პოლიტიკურ მხარეს და მოიწადინეს წაგლეჯა ყველაფრისა, რის წაგლეჯასაც მოახერხებდენ. ოსმალეთისთვის პოლიტიკურად სულ ერთი არ არის, ვინ ეყოლება მას მეზობლად, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ რუსეთი, რომელიც, უეჭველია, ერთხელაც არის თავს დააღწევს დღევანდელ ავადმყოფურ მდგომარეობას და ოსმალეთისთვის კვლავ დიდ საფრთხედ გადაიქცევა. მაგრამ, როდესაც სასწორზე დაისვა პოლიტიკური საერთაშორისო საკითხი და საკითხი ოსმალეთის იმპერიალისტების ეგოიზ[illegible], სასწორმა უკანასკნელისკენ გა[illegible]რა და ისეთი მდგომარეობა შე[illegible] ჩვენში, რომ ქართველ ხალხს [illegible] ერთი უნდა აერჩია, ან ბრძოლა [illegible]ფლებისათვის, ან გაზიარება [illegible]რი რუსეთის რეჟიმისა. საქართველო პირველს გზას დაადგა და გამოაცხადა, ვიბრძოლებ თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ვიბრძოლებ რევოლუციის იმ მონაპოვარისთვის, რომელიც ყველა ქართველისთვის ძვირფასია.

ასეთი იყო საყოველთაო გადაწყვეტილება საქართველოსი და ამ გადაწყვეტილებით იგი ან გაიმარჯვებდა, ან დაიღუპებოდა, მაგრამ დაიღუპებოდა არა როგორც მონა, არამედ როგორც მებრძოლი თავისუფლებისთვის. მთავრობის უკანასკნელმა ცნობამ, რომლის შინაარსი ჩვენ არ ვიცით, კვლავ სამშვიდობო კონფერენციისკენ მიაპყრო ჩვენი გულისყური. ხსენებულ ცნობიდან მხოლოდ ორი რამ არის ცხადი: ერთი ის, რომ ჩვენი დელეგაციის მიერ გადადგმული ნაბიჯი არის გადამჭრელი ხასიათისა და მეორეც ის, რომ ეს ნაბიჯი არ მოასწავებს საზავო მოლაპარაკების შეწყვეტას.

თუ მოლაპარაკება სწორედ კრიზისის უკანასკნელ წუთს არ შესწყდა, ეს იმის მომასწავებელია, რომ გამოიძებნა რაიმე საერთო ენა მოლაპარაკების გასაგრძელებლად. თუ ეს ასეა, მაშინ სამხედრო მოქმედებაც უნდა შესწყდეს, დროებით მაინც. ახლო მომავალი გვიჩვენებს, მოჰხდება ეს ასე თუ არა. მაგრამ სამხედრო მოქმედება კიდეც რომ შეჩერდეს, ეს კიდევ ომის გათავებას არა ნიშნავს. ომი გათავებულად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ხელშეკრულება დადებულია, ხელმოწერილია და დამტკიცებული იმათ მიერ, ვისაც აქვს უფლება ხელშეკრულობის დამტკიცებისა. რადგანაც ჩვენში დელეგაცია ამიერკავკასიის სეიმის მიერ არის გაგზავნილი, ამიტომ ხელშეკრულობაც ამიერკავკასიის სეიმმა უნდა დაამტკიცოს. ოსმალეთის მხრით კი ოსმალეთის მთავრობამ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლიან ომი დასრულებულად ჩავთვალოთ. მანამდის კი ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და მუდამ იმის მოლოდინში უნდა ვიყოთ, რომ ყოველს წუთს შეიძლება არამედ თუ მოლაპარაკება, დროებით შეწყვეტილი სამხედრო მოქმედებაც კი განახლდეს. თუ ქართველ ერს ჰსურს შეგნებულად შეხვდეს შექმნილ მდგომარეობას, იგი ყოველს წუთს მზად უნდა იყოს იარაღით ხელში დაიცვას თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა

# ცხინვალის ფრონტზე

სხვანაირი სახელი არ შეიძლება ეწოდოს იმ ბრძოლის ველს, რომელიც დ. ცხინვალის მიდამოებში გაჰვიმართეს მოწინაალმდეგებმა. ამ განწირულების დროს, როდესაც გარეშე მტერი კარს მოგვადგომია და დამონებას გვიპირებს—ოსების და იმ შეუგნებელ ქართველების საქციელი, რომელნიც მათ მიემხრნენ—პირდაპირ მუხანათური თავდასხმაა ზურგიდან, უკანიდან მახვილის ჩაცემაა ერისა და რევოლიუციისათვის. ამ წერილში მე არ შევეხები არსებითად ცხინვალის ამბების მიზეზებს და საფუძველს. ჩვენმა მკითხველებმა ალბად უკვე იციან საქმის ვითარება, ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ, ამ ტრაგედიაში, უეჭველია გადახლართულია მრავალი მომენტი უპირველესად ყოვლისა კი ნაციონალიზმი და ისიც ზოოლოგიურად გაგებული ნაციონალიზმი. რასაკვირველია არც ერთს ჭეშმარიტს დემოკრატს და რევოლიუციონურს არ შეიძლება რაიმე ჰქონდეს საწინააღმდეგო ოსების თვით გამორკვევისა ეს თვითგამორკვევა, თუნდ თვითმართველობის სახით ჩვენი, სოციალისტ-ფედერალისტთა დადგენილებასაც ეთანხმება. მაგრამ ოსების მოძრაობას გარკვეული ხასიათი არა აქვს და მათ დელეგატებსაც არავითარი განსაზღვრული პოლიტიკური მოთხოვნილება არ წარუდგენიათ. რაც შეეხება იმ ქართველებს, რომელნიც ბლომად არიან გაკრეფილნი სხვა და სხვა სოფლებიდან—ესენი უმთავრესად გახულიგანებული ჯარისკაცები არიან და შოვნისათვის „ამოძრავებულან“. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საზარელს სურათს ძარცვა გლეჯისას რაგვარადაც ცხინვალი დაგვიხვდა უნდა ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელებს მიზნისათვის მიუღწევიათ.

ყოველ შემთხვევაში ეს ვიღაც ბნელი პირების ავანტიურაა და ხალხიც შიგ ჩათრეულა. შეიძლება თითო-ოროლა მეთაურს კეთილი მიზანი ჰქონდა, ან გარკვეული პოლიტიკური გეგმით მოქმედებდა, მაგრამ ოსობის მასსა ამისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, მან ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი და მოძრაობამ აშკარა ხულიგანური ხასიათი მიიღო. რაც უნდა იყოს, ეტყობა, ეს უკანასკნელი სიტყვა არაა ოსების ნაციონალისტებისა და კვლავადაც უნდა მოველოდეთ ამისთანა ვანდეიას. ჩვენი ინტერესია რაც შეიძლება მალე გამოირკვეს ოსობა, როგორც ერი და ვიცოდეთ ვისთან გვაქვს საქმე, რა მოთხოვნილება აქვთ ოსებს, რომ ურთიერთის გაგება-მორიგებით მომავალში მაინც ავიცდინოთ თავიდან ასეთი მუხანათური თავდასხმა ზურგიდან. ეხლა კი ორიოდე სიტყვას მოვახსენებთ იქაურ სამხედრო მოქმედებაზე.

მე-2 საარტილერიო ბრიგადის პირველ ბატარეიას სრულიად მოულოდნელად მოუხდა ამ ფრონტზე გამგზავრება 20 მარტის საღამოს. ამ სტრიქონებს ზარბაზნის ფასზე ვსწერ.

აი, დღეს, 27 მარტს სწორედ რვა დღეა რაც ტანთ არ გაგვიხდია. ეხლა ამ წამს ჩვენი ბატარეია სდგას ცხინვალის დასავლეთ-ჩრდილოეთით მდებარე მთაზე, სადაც სოფელი ციხის ჯვარია. მშვენიერი სურათი, თვალწარმტაცი სანახაობა იშლება ამ მთიდან სამხრეთისა და ჩრდილოეთისაკენ (ჯავის ხეობა). მოშორებით კავკასიონი მოსჩანს. ძლივს ამოვათრიეთ ჩვენი ზარბაზნები ამ სიმაღლეზე. აქედან მთელი რაიონის დანგრევა შეიძლება. მაგრამ ჩვენ სოფლებს ვინდობთ და მხოლოდ გამოჩენილ ბრბოს ვესვრით ყუმბარებს, დრო და დრო რამდენიმე ჰაეროპლანი გადმოგვივლის თავს ან, ერთი გაემართა ჯავისაკენ ამის გასროლილი ყუმბარის გრიალი, რომელსაც მთელი ხეობა ბანს აძლევს. ჩვენი ზარბაზნებიც ახმაურდნენ, მაგრამ მტერი უკვე ალარსად სჩანს, იგი თავზარდაცემულია და მთებში გაკრეფილა. იქიდან ჯგუფ ჯგუფად მოდიან და სროლას იწყებენ, ეხლა ისინი მოტეხილნი არიან.

ამ სამი დღის წინად ცხინვალის მიდამოები და ეს მთაც აჯანყებულებს ეჭირათ. ვაი ჩვენი ბრალი, მათ რომ არტილერია, თუნდ ერთი ზარბაზანი, ჰქონოდათ. ეს მიუვალი პოზიციაა და მთელი რაიონი მათ ხელში იქნებოდა. ისედაც აქ ოსები დიდხანს იყვნენ გამაგრებულნი. თხრილებიც აქვთ მოწყობილი და, ეტყობათ, ხელმძღვანელებიც ჰყავთ. ამ მთასა და ახლო-მახლო ტყეებს შეაფარა თავი აჯანყებულთა უმრავლესობამ და ცხინვალს რომ მივადექით—იგი თითქმის დაცლილი იყო მოწინააღმდეგეებისაგან. ქალაქისათვის, რასაკვირველია, ხელი არ გვიხლია. პირველად ლიახვის მარცხენა ნაპირიდან, ცხინვალის შესავალიდან დავუშინეთ ზარბაზანი ამ მთასა და ახლომახლო თხრილებს. ოსები გვიპასუხებდნენ. უმთავრესად კი ზემოდან ესხმოდნენ თავს გვარდიას და ჯარების ნაწილებს. აქ იყო გარდა ჩვენი მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის ვზვოდისა: პირველ ცხენოსანთა პოლკის ნაწილი, სოციალ.-ფედერალისტთა რაზმი, რომელიც მშვენიერი შესახედავი იყო: იქ მრავლად მოეყარა თავი სროლაში გამოწრთობილ წარმოსადეგ ვაჟკაცებს, საგანგებო ბატალიონი და გვარდიელები ტფილისის, ხაშურის და გორის. ეხლა უკვე ოსები აღარ ისვრიან, მაგრამ ჩვენ მიერ წარდგენილი ულტიმატუმი ჯერ არ აუსრულებიათ, თუმცა წაყვანილი ტყვეები დააბრუნეს. ჩვენ ვთხოულობთ მეთაურებს და იარაღს. ვნახოთ რა იქნება.

ვათვალიერებთ სოფელს. ყველაფერი აფორიაქებულია. საქონელი და შინაური ფრინველი მიტოვებულია. სიჩქარით ბევრი რამ დარჩენიათ. უყურებ ყველაფერ ამას და ჰფიქრობ. რისთვის იჭირებს საქმეს ეს ხალხი, რისთვის აუღ ა ხელში იარაღი—გაუგებრობაა თუ პროვოკაცია? მტრისაგან ნაბახარს მ.იგაგონებთ ყველაფერი: ეს კია, ამ აღამიანებმა ცხინვალის ფრონტი, შინაური ფრონტი გაგვიჩინეს იმ დროს, როცა ჩვენ სულ სხვაგან უნდა ვიბრძოდეთ. განა ჩვენი ზარბაზნები ეხლა აქ უნდა ჰქუხდეს? მაგრამ ბედის დაცინვა მეტად დიდია: როდისმე ვფიქრობდი განა, რომ ჩემი საარტილერიო „კარიერა“ ცხინვალით დაიწყებოდა?

# ტრაპიზონის საზავო კონფერენცია.

**დღიური შთაბეჭდილებანი**

მარტის 18.

ჩვენს დელეგაციას თათბირი ჰქონდა, თუ როგორი პასუხი უნდა გასცეს ოსმალეთის განცხადებას, რომელიც წაკითხული იყო კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მარტის 8-ს.

ა. ჩხენკელმა სთქვა: რაუფ-ბეი გვაჩქარებს პასუხისათვის, მთხოვა დღეს ან ხვალ წერილობით შევატყობინო, როდის გავსცემთ პასუხს. უამისოთ არავითარი მოლაპარაკება არ სურს და ამის შემდეგ კერძო საუბარიც შეუძლებელია.

დელეგაცია შეუდგა სეიმის შემუშავებულ საზავო პირობების გადასინჯვას. პირველად უნდა განიხილონ მეოთხე მუხლი სომხეთის ავტონომიის შესახებ. ა. ხატისოვმა მოკლედ დაასურათა ის საშინელი განსაცდელი, რომელიც თავს დაატყდათ სომხებს ამ ომის დროს, სხვათა შორის აღნიშნა, რომ დახოცილია 600 ათ. სომეხი და კერძოდ მარტო ტრაპიზონში ოსმალეობმა ამოსწყვიტეს 14 ათასი კაცი. წარმოადგინა გეგმა ოსმალეთის სომხეთის მოწყობისა. დღეს არ ვითხოვთ ექვსი ვილაიეტის შემოფარგვლას; გვინდა მხოლოდ რომ ვანის ტბის გარშემო დაახლოვებით ერთი ვილაეტის სივრცის ოდენა ადგილი დაუთმონ სომხებს. იქ უკვე 300 ათასი სომეხი მკვდარია დარჩენილი ამდენივე ამიერკავკასიაშია გარდმოხვეწილი და 200 ათასი კიდევ ოსმალეთის სხვა და სხვა მხარესაა. თუ ყველას ამათ გადავასახლებთ, თავს მოუყრით 800 ათასამდე სომეხს. ამ სომხებს უნდა მივცეთ თვითმართველობა თუნდ ერობის სახით, რომელიც მერე განვითარდება. საუკეთესო გარანტია ჩვენი თვითმართველობის განხორციელებისთვის იქნება ამიერკავკასიის დემოკრატიის დახმარება.

რ. კაჩაზნუნი დაუმატებს: მეოთხე მუხლი შეიძლება ასე შეიცვალოს—ხელშეკრულობის დადებასთან ერთად სულთანი გამოსცემს ირადეს სომხეთის ავტონომიის შესახებ. გ. ლასხიშვილი აღნიშნავს სომხების საკითხის სიძნელეს, რომლის გადაწყვეტას ამდენი შელია ცდილობენ ევროპის დიდი სახელმწიფოები, ჩვენ დღეს არ შეგვწევს ძალა მის გადასაჭრელად, იგი უნდა გადაეცეს მომავალ მსოფლიო სამშვიდობო კონგრესს.—მუსავათის წარმომადგენლები იმ აზრს იცავენ, რომ თავმჯდომარემ კერძო საუბრის დროს განუმარტოს რაუფ ბეის, რომ ამიერკავკასია დიდად დაინტერესებულია მეზობელ სომხების ბედით, სხვა არა იყოს რა ჩვენში გადმოხვეწილია 300 ათასი სომეხი. ხოლო ჩვენი თხოვნა არ უნდა გადაიქცეს საზავო მოლაპარაკების მუხლადა—ა. ხატისოვი თავის უკანასკნელ სიტყვაში წინადადებას აძლევს თავმჯდომარეს: განუცხადეთ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ ჩვენ არ გვსურს სომხეთის საკითხი საერთაშორისო საკითხად გადავაქციოთ, მხოლოდ გვაგებინონ თვითონ როგორღა უნდა მოაწყონ სომხების ცხოვრება თუ ოტომანია დელეგაცია იტყვის: არც ამის გაგების უფლება გაქვთო, მაშინ ჩემის აზრით, სომხებს არ შეუძლიათ ზავს ხელი მოაწერონ და მათ არც სეიმში აქვთ ადგილიო...

დაადგინეს: ა. ჩხენკელმა შეიმუშაოს, თუ რა სახით უნდა შეიცვალოს მეოთხე მუხლი სომხეთის ავტონომიის შესახებ.

მარტის 19.

მთელი დღე მოუნდა საზღვრების გადასინჯვის საკითხს: რის დათმობაა შესაძლებელი, რომ ომი ავიცდინოთ თავიდან.

ქართველი წევრები იცავდნენ ბათომის ოლქის ხელშეუხებლობას და მოსახერხებლად მიაჩნდათ ყარსის ოლქის ნაწილის დათმობა.

გ. ლასხიშვილი ამბობს: ჩვენ უნდა გავსცეთ ოსმალეთს პასუხი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის გამო ფორმალურად და არსებითადაც. გვსურს ზავი და თანახმა ვართ ზოგიერთი დათმობის, ხოლო ისეთის, რომელიც არ დასჭრის, არ დაასახიჩრებს ჩვენს სხეულს. თუ ოსმალეთი დაინტერესებულია ჩვენს დამოუკიდებლობაში, უნდა დაგვჯერდეს მინიმუმს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავიწყებთ გარეშე მოკავშირეების ძებნას და ეს არ იქნება სახეირო მათთვის. შეგვიძლია დავთმოთ ოლთისი, ყარსის და არტაანის მაზრების ნაწილები და მცირე ნაჭერი ყაგიზმანისა

ა. ხატისოვის სიტყვით უდავოდ შეიძლება დათმობა მთელი ოლთისისა, მთელი არტაანის და ყარსის და ყაგიზმანის მაზრების ნაწილისა. რ. კაჩაზნუნი ფიქრობს, რომ შეიძლება ართვინის ოლქის მიცემაც.

მუსულმანებში გაჯინსკიმ სთქვა: უნდა დავიტოვოთ მხოლოდ ბათომი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ამიერკავკასიისთვის და დანარჩენი ყველაფერი და დავსთმოთო...

შემდეგი კამათის დროს ირკვევა უფრო პრინციპიალური და ზოგადი ხასიათის საგნები. გაჯინსკი აცხადებს და მას მხარს უჭერს ხასმამედოვიც: ჩვენ ამიერკავკასიის მუსულმანები ვერასოდეს გამოგვყვებით ოსმალეთის საწინააღმდეგო ომში. ამიერკავკასიის სახელმწიფო არც კი არსებობს, მის მთავრობისგან მუსულმანობას საასიკეთო არა უნახავს რა. დღეს როცა მოვალეობაზე მიდგა საქმე, გინდათ ჩვენც დაგვაკისროთ იგი, მაგრამ არ გახსოვდათ ჩვენი უფლებები?

ა. ხატისოვი უპასუხებს: თუ ჩვენს შორის თანხმობა არაა, ეს იქნება მთავარი მიზეზი ჩვენის წაგებისა და არა ოსმალეთი. გვეგონა, რომ ერთად ვიყავით, აქ კი სხვას ვხედავთ.

გაჯინსკი: ჩვენ არავინ მოგვეტყუებიათ, არავისთვის გვითქვამს რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ვიომებთ. შეცდომაში დელეგაცია არა-მუსულმანმა წევრებმა შეიყვანეს. ასეთი სურათი დაგვიხატეთ, რომ ოსმალეთი მთლად უძლურია, საკმარისია მარალური ძალდატანება და ყველაფერზე დაგვეთანხმებაო. აქ კი სულ სხვას ვხედავთ. ინგლისელები და ფრანგებიც გატყუებულნი ტფილისში. მაგრამ ხომ ნახეთ, რომ მათი ფრონტი გაარღვიეს. კარგად ხედავთ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით. ივაჰრით; თუ მეტს დაათმობინებთ ოსმალეთს, ზნეობრივად დაგეხმარებით ამისთვის. მაგრამ არ დაიგვიანოთ, ვაჭრობაში დრო არ დაკარგოთ და მერე მეტის დათმობა არ მოგიხდეთ...

თავმჯდომარემ თავის ვრცელ სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ყველაფრის იმის დათმობა, რასაც ოსმალეთი მოითხოვს, სჯობია მთლად გაწ-

[illegible]

**ოფიციალური**

[illegible]

მარტის 21.

[illegible]

...ოკების
...ავრობა
...ოს, რომ
...ც არ იყო
...ს, ხოლო
...ს ასეთად
...შინაარსი
...სავსებით
...კერძოდ
...ზ. ერთ-
...ონდათო,
... ხასია-
...კინილება
... ამის
...სმული

...ტი.
...ოფიციალუ-
...ა არმან
...ოდ სწარ-
...მან-ტიერის
...არეთით ჩვენ
...ომე ალაგას.
...კრეთის ცნო-
...ლიდან დაწყე-
...ტიერთან. გენ.
ინგლისელებისა
...ს პოზიციები და-
... და ვესტუზერ-
...ა სიმაგრეები ჩვენ
...ვერის დახმარებით.
...დაიკავეთ ლისზე გა-
...ბაკ-სენტ მორთან.
...ი. ბელგიის დამხმარე გე-
...ჯახა და დაილუპა. მგზა-
...რჩინეს.

...კასიის ფრონტი.
...ლი. ოსმალეთის ჯარმა წინ
...ჩაჩენ ფრონტებზე საგუ-
...ვერი მომხდარა.

—

...30. კიშინიოვიდან და-
...მინიის მინისტრ-პრეზიდენ-
...ელომანი. ბესარაბიის სათათ-
...ილება ორი დღის განმავლო-
...კობდა და დაადგინა 86 ხმით
...მდეგ შეუერთდეს რუმინიას.

## ...ალი ამბავი

...წარმოდგენა-საღამო. დღეს 31
... ყოფილ სამხედრო სასწავლე-
...ი (მიხეილის პროსპექტი ოპო-
...რდაპირ) ქართველ საპიორთა
ბათალიონის სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა საღამოთი. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა „და-ძმა" ხუთ მოქმედებიანი—ექვს სურათიანი. შემდეგ წარმოდგენისა გაიმართება საღამო; დაუკრავს სამხედრო მუსიკა. ფასები ყველასათვის ხელ-მისაწვდომია. ბილეთები იყიდება დარბაზის შესავალში. დასაწყისი სრულ საღამოს 8 საათზე.

◆ **კავკ. სამეურნეო საზ. კრება** გაიმართება დღეს, 31 მარტს, საღ. 7 საათზე. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი წაიკითხავს მოხსენებას: „ბორჯომის ტყის მუზეუმი".

◆ **დიდი მოურავი.** კვირას, 1 აპრილს ქართულ კლუბში წარმოდგენილი იქნება ქართველ მსახიობთა მიერ ცნობილი ისტორიული დრამა „**დიდი მოურავი**" (გიორგი სააკაძე) 5 მოქმედებათ და 8 სურათად.

◆ **სოც. რევ. კრება.** დღეს, 31 მარტს, საღამოს 7 საათზე, მესამე გიმნაზიის ბინაზე დანიშნულია სოც.-რევ. კრება, რომელზედაც განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. პარტიის წევრები ვალდებული არიან კრებას დაესწრონ.

◆ **ქართველ ახალგაზრდათა საყურადღებოდ.** ქართულ ცხენოსან დივიზიის შტაბში, კავშირის კომანდისათვის საჭირონი არიან განათლება მიღებული ახალგაზრდანი. (აგრეთვე სასურველია ტელეფონისტები და მექანიკი—ტელეგრაფისტები). შტაბი მოთავსებულია მიხეილის და ბელგიის ქუჩათა კუთხეში. შესავალი ბელგიის ქუჩიდან. ჩაწერა შეიძლება 11—1 ს.

◆ **კახეთის რკინის გზაზე.** გზათა მინისტრმა მიიღო შემდეგი დეპეშა კახეთის რკინის გზის უფროსისაგან: „იმის გამო რომ სოფ. კონდოლის მცხოვრებლები ხელს უშლიდნენ მე-136 ვერსზე პართის-ხევის ხიდესთან კედლის აშენებას მარტის პირველ რიცხვებში მუშაობა შესწყდა. ეხლა გაზაფხულის წვიმების გამო გზის გამაგრება დაიწყეს ქვიშით და ქვებით, სოფ. კონდოლის მცხოვრებლები მოვიდნენ და გაფანტეს მუშები, არ დაანებეს გზა გაემაგრებინათ. გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები. რადგანაც მოსალოდნელია ხიფათი ამ გაუმაგრებელ გზაზე, რომელნიც გამოიწვევს დიდ ზარალს მთელ კახეთის რკინის გზისათვის, მიმოსვლის შეწყვეტას და ხალხის მსხვერპლს. ვერავითარი საშუალებით რკინის გზის მთავრობამ ვერ შეაჩერა სოფ. კონდოლის მცხოვრებლების ბოროტ-მოქმედება.

◆ **საქართველოს ეროვ. საბჭოს** აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართება დღეს შუადღის 12 საათზე.

◆ **რაზმელის დაჯილდოვება.** 5 მარტს ბათომში გემების დაპყრობის დროს დაჭრილი სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმელი ამხ. აკაკი ბესარიონის ძე ბრეგვაძე დააჯილდოვეს გიორგის მესამე ხარისხის ჯვრით.

◆ **სწავლა შესწყდა** ყველა სასწავლებელში ახალციხის მაზრის, სოხუმის და ბათომის ოლქებში.

◆ **ფოთიდან „წმ. ნიკოლოზ"** გემის კაპიტანი იუწყება: დღეს მოვდივარ ფოთიდან ტუაპსეში, თან მომყავს 1500 ლტოლვილი. ფოთშიც მრავალი ლტოლვილი რჩება ტრანსპორტის მოლოდინში. ქალაქში მშვიდობიანობაა.

◆ **სომეხთა ეროვნულ საბჭოს** განკარგულებით სწავლა დამთავრდა ყველა სომხურ სასწავლებელში, რადგანაც მასწავლებლები ჯარში გაჰყვნენ.

◆ **საევაკუაციო კომისია** ამიერკავკასიის მთავრობას დეპეშით აუწყებს, რომ საჭიროა ყარსში გაიგზავნოს მატარებელი ლტოლვილების და ძვირფას საქონლის ევაკუაციისათვის. იმ შემთხვევაში თუ დახმარებას გაუწევს მთავრობა საევაკუაციო კომისიას უკანასკნელი იძულებული იქნება მიატოვოს ყველა საქონელი.

◆ **ლტოლვილები ტფილისში.** რკ. გზის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე მალანიასაგან ქალაქის თავის და გზათა მინისტრის სახელობაზე მოვიდა შემდეგი დეპეშა: „ტფილისის რკ. გზის სადგურზე მოგროვდა მრავალი ლტოლვილი, რომელნიც მოსულნი არიან როგორც სამხრეთიდან ისე და სავლეთიდან. როგორც რკინის გზის ადმინისტრაციის ცნობიდან გავიგეთ მთელი მატარებლები მოდიან ლტოლვილებით, 2 მატარებელი ბაქოდან და 1 ბათომიდან. ლტოლვილები იჭერენ პლათფორმას, სადგურის დარბაზებს და გზას. ასეთი მრავალი რიცხვი ლტოლვილთა სახიფათოა როგორც ცეცხლის გაჩენის ისე სანიტარულ მხრით. მით უმეტეს, რომ ტფილისში გაჩნდა სახადი.

გთხოვთ სასწრაფოდ მიიღოთ ზომები სადგურის დარბაზების განთავისუფლებისა და ლტოლვილებს ბინა უშოვოთ.

◆ **თავდასხმა.** 29 მარტს, დილის 6 საათზე ვორონცოვის ქუჩაზე რამდენიმე შეიარაღებულმა კაცმა შეაჩერეს ეტლი, რომელშიაც იხსდნენ მ.პ მადიანები. დაიწყო ორივე მხრიდან სროლა. მოკლული არიან მაზადი გაზიმოღლი და ამირ-ოსმან-ოღლი.

◆ **მკვლელობა.** 29 მარტს, საღამოს 7 საათზე, ჯანაშვილის სასადილოში დასჭრეს მილიციონერი ე. ჯაკობია. იქვე აიღეს ჯანაშვილზე და ერთ უცნობზე, ორივე მიიმალა.

◆ **ცეცხლი.** ღამით 30 მარტს, სურ. კარაპეტის და 19 თებერვლის ქუჩის კუთხეში დანდუროვის სახლში გაჩნდა ცეცხლი, დაიწვა 3 სახლი.

◆ **მილიციის უფროსის დადგენილებით** სპირტიან სასმელებით მალულად ვაჭრობისათვის შეიპყრეს: ივ. დავრიშევი, ივ. ნიკოძე, ვ. სარქისოვი, ივ. ხუდიანი, გ. ღარიბაშვილი, ფ. კონტრიძე. ყველა ორ-ორი თვით.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

**დღეს, 31 მარტს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ნაძალადევის მუშათა კლუბის სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა კრება (სკოლის შენობაში) ამხანაგებს ვთხოვთ კრებას აუცილებლად დაესწრნენ.**

—

დღეს დილის სრულ 9 ნახ. საათზე მოხდება მოწაფეთა კომიტეტის კრება. ვთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ პარტიულ კლუბში აღნიშნულ დროს, მიშა თალაკვაძის (მთის პირელის) დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად.

## სოხუმის ამბები

28 მარტს ტფილისში ჩამოვიდა ოლქის კომისარი ზახაროვი და სოხუმის ამბების შესახებ შემდეგი გადმოგვცა.

როდესაც მარტის პირველ რიცხვებში გაგრა ბოლშევიკებმა დაიკავეს, სოხუმის საოლქო შტაბმა ზომები მიიღო, რათა გაგრიდან ბოლშევიკები გამოერეკა. მაშინ ბოლშევიკების რაზმი ორი ზარბაზნით და ტყვიისმფრქვეველებით გაემართნენ გუდაუთიდან ახალ ათონზე, დაიკავეს იგი და გამაგრდნენ.

ჩვენი რაზმი (განსაკუთრებით აფხაზებისა და წითელ-რაზმელებისაგან შემდგარი) დახვდა ბოლშევიკებს, მაგრამ, როდესაც აღმოჩნდა, რომ ბოლშევიკების ჯარში აფხაზებიც ეყვნენ, რაზმი უკან გამოვიწვიეთ: საეჭვო იყო, შევიდოდნენ თუ არა ჩვენს რაზმში მყოფი აფხაზები მათ წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ჩვენ დელეგაცია გავგზავნეთ ბოლშევიკებთან საქმის ვითარების გამოსარკვევად. ბოლშევიკებმა გვიპასუხეს, რომ კოდორის გარდა, ყველა ნაწილი ოლქისა სახ. კომ. ძალაუფლებას სცნობს და 28 მარტს კოდორის გლეხების ყრილობაც მოხდება, სადაც ისინი, ბოლშევიკები, თავის წარმომადგენლებს გაგზავნიან და აღიარებინებენ მათ სახ. კომ. ძალაუფლებას. ამის გამო, უპასუხეს ბოლშევიკებმა, ჩვენ 28 მარტამდე არ წამოვალთ სოხუმის წინააღმდეგო.

მაგრამ, ჩვენ გავიგეთ, რომ ბოლშევიკების აგენტები მეგრელებთან დადიან, რომელნიც სოხუმის სამხრეთ მხარეს მოსახლეობენ, აგროვებენ შეიარაღებულ ძალას და შეტევისათვის ამზადებენ. ამის გამო ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ მათ მოსაგერიებლად. ჩვენი ძალა შეადგენდა 200 შეიარაღებულ კაცს (განსაკუთრებით, აფხაზები), 2 ბატარეია და ტყვიისმფრქვეველები 8 ლენტით.

რადგან ბრძოლა ორ ფრონტზე იყო საჭირო, ჩვენი ისედაც მცირე ძალა ორად დავანაწილეთ.

25 მარტს, ღამის 11 საათზე მეგრელებმა სოჩხელთან ერთად სოხუმს შემოუტიეს და სროლა დაიწყეს თოფებიდან. ჩვენ დილის 4 საათამდე უწევდით წინააღმდეგობას, მაგრამ შემდეგ უკან დავიხიეთ, როდესაც შტაბმა გადასწყვიტა, რომ ყოვლად უნაყოფო იქნებოდა წინააღმდეგობა გაგვეწია მტრის ასეთი ძლიერი ძალებისათვის, და ალგვეარებინა მისი ძალა-უფლება.

26 მარტს დილით, ბოლშევიკები შემოვიდნენ ქალაქში, დაიკავეს ტელეგრაფი, ფოსტა და მთავრობის სხვა დაწესებულებანი და ქალაქს 2 მილიონი მან. კონტრიბუცია დაადვეს. სენაკში მათ დეპეშა გაგზავნეს და ატყობინებდნენ, რომ სოხუმი აიღეს და ფოთისკენ მიემგზავრებიან.

ჩვენი რაზმი, აფხაზებისაგან შემდგარი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა.

ზახაროვის აზრით, ეს შემოტევა ნაწილი იყო მთელი გეგმისა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჩრდილოეთიდან ჩამოსული ბოლშევიკები.

ბოლშევიკებს აქვთ იარაღი და ფული: მათ იმ 10 მილიონიან ფონდიდან მიიღეს, რომელიც ვითომ და „შავი ზღვის რკინის გზის გასაყვანად" იყო გადადებული თვითეული ჯარისკაცი ბოლშევიკებისა 20 მ.ნ. იღებდა დღეში.

სოხუმის აღების შემდეგ მე და 17 რაზმელი მოტორიან ნავზე ოჩამჩირისაკენ წამოვედით, ხოლო აქედან ხმელეთით სენაკში მოვედით. სოხუმის მცხოვრებნი ბოლშევიკებს არ თანაუგრძნობენ.

## მი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ... [illegible]
ჩვეულ... [illegible]
შენ ჩასცქერი შენს მარჩენელ...
და ცდილობ წლის სარჩო და სა...
მოიყვანო. მაგრამ ამასთანავე ერ...
ხშირად გულის შემზარავი, საშინე...
ხმები წვდება შენს ყურს და მშვი...
ბიან შრომით გატაცებულს გაღელ...
ვინ არ გელაპარაკება და რას არ...
უბნებიან! ათასნაირი ჭორი, ათასნა...
საზიზღარი პროვოკაცია ვრცელ...
და შენც აღარ იცი, რომელ ხმას...
უჯერო, რა იფიქრო და როგორ...
იხსნა შენი თავი იმ განსაცდელი...
რომლის შესახებაც ძალიან ბევრს...
ლაპარაკობიან. წითელი გვარდია, და...
ცველი რევოლიუციისა, დამცველი შე...
ნი თავისუფლებისა, პროვოკატორების წყალობით, შენ მტრად დაგისახავს. ყაჩაღები და მძარცველები კი, რომელთაც ჰსურთ მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ, შენ ძალიან ხშირად მეგობრად მიგაჩნია. ათასნაირი ჭორებისა და ხმების გამო გზააბნეულივით დადიხარ და ვეღარ გარკვევი, საიდან მოდის საფრთხე, ვინ არის შენი ნამდვილი მტერი და მეგობარი; ვერც კი ჰგრძნობ, რა უბედურება შეიძლება დაგატყდეს ძალიან მალე.

საქართველოს საუკეთესო შვილნი, შენი თავისუფლებისთვის მებრძოლნი სისხლსა ჰღვრიან შენს დასაცავად, თავიანთი ახალგაზდური მკერდი მიუშვერიათ და თავიანთი სიკვდილითა, მოწამებრივი სიკვდილითა ჰსურთ გადაგარჩინოს უბედურობას და სწორედ ამ დროს კიდევ არამზადები, ქვე... გრძნობებით გატაცებული ადამიან... დაძრწიან და ცდილობენ შეცდომ... შეიყვანონ ხალხი და სახელი გა... ხონ შენი თავისუფლებისა და ქვეყ... დღეობის უანგარო დამცველებს. შეიძლება ეს მებრძოლნი დამარცხდნენ, შეიძლება თავისუფლებისთვის მებრძოლებმა თავიანთი გაცრეცილი გვამებით ვეღარ შეაკავონ მოზღვავებული მტერი; მაგრამ შენ მაინც უნდა იცოდე, რა ჰხდება შენს გარშემო, უნდა თვალხილულად შეხვდე სინამდვილეს და წინდაწინვე გაითვალისწინო ის საშინელი განსაცდელი, რომელიც შეიძლება თავს დაგატყდეს.

შენ ძალიან კარგად იცი, რომ მაშინ, როდესაც რუსეთში ძველი წყობილება იყო გამეფებული, საშინელი ომი გაჩაღდა რუსეთსა და მის მოკავშირეებსა და გერმანიასა და [illegible] შორის. ქართველი ხალ... ძალით ჩაითრიეს ომში, [illegible] ქვეშევრდომი ხალხი. ოთხი წლის განმავლობაში ქართველი ხ... იბრძოდა როგორც რუსეთის ქვეშევრდომი, იბრძოდა [illegible], იბრძო...

---

...კი მოკავშირენი შეხვდნენ ერთ-
...ერთის მხრით ოსმალოები და
...მხრით ბოლშევიკები!..
...ა დელეგაციის თათბირი.
...არემ წაიკითხა პასუხის
... პირველად ლაპარაკობს კა-
...ატომ უთმ.ბთ ოსმალეთს
...ა ყაგიზმანის მაზრების ნაწი-
...ა სრულებით არ ეხებით ბა-
...ოლქს. ეს არაა სწორი. ყოვლის
...ეს უნდა დავთმოთ ის ადგი-
... რომელთა მკვიდრთათვის ეს არ
... მძიმე. ართვინის, ოლთისის და
...ნის მცხოვრებთა უმრავლესობა
...ა, რომელნიც აშკარად
...ნ არიან, ყარსის და ყა-
... მკვიდრნი კი (სომხები, ბერ-
...რუსები) ამიერკავკასიას ემხრო-
...ამიტომ უპირველესად უნდა და-
...ი ართვინის, ოლთისის და არ-
...ს მაზრები, სადაც ხალხი თით-
...უკვე ოსმალეთს მიემხრო. თუ
...ის ინტერესებს მიიღებთ მხედვე-
...ში, ბათომის მაზრა, ფოცხოვის
...ი და ახალქალაქის მაზრა საკ-
... იცავენ საქართველოს ტერიტო-
... და ამავე დროს სრულიად ღიად
...დაუცველად სტოვებთ სომხების
...ნებს. პეპინოვი (ახალციხელი,
...ლმ. სოციალისტ. ბლოკი) ამბობს:
...არ უნდა გვაინტერესებდეს მარ-
...ტერიტორიის საკითხი, არამედ
... ვიფიქროთ მცხოვრებთათვისაც:
...ედი ეწვევათ იმათ, რომელნიც
...ლენ ოსმალეთის ხელში? ხალ-
...ბაჭრა-დანაწილება ტერიტორიის
...ანობის დასაცავად შეუძლებელია.
...ნადაც მე ვიცი, ბათომის, ყარ-
...ოლქების, ახალციხის მაზრის და
...ალაქის მაზრის ნაწილის მუსულ-
... განზრახვა აქვთ, ცალკე კა-
... ავტონომია შეადგინონ ამიერ-
...იის ფედერაციაში, ისე როგორც
... ცალკე საქართველო, სომხეთი
...ერბეიჯანი. ყველა სადავო ოლ-
... მთლად უნდა დარჩეს ჩვენს სა-
...ბში ან მთლად გადაეცეს ოსმა-
...იქ შეადგინოს ავტონომიური
...ლი ოსმალეთის პროტექტორა-
...ეშ. გაჯინსკი (მუსავ.) შეხე
...ით, დელეგატებმა უკვე გამო-
... თავიანთი აზრი და ეხლა თა-
...არემ თვითონ უნდა აირჩიოს
...ესო გზა. ხატისოვი ლაპარაკობს: ყველა ოლქს უნდა ჩამოვჭრათ და ისე დავთმოთ. ქართველების ოლქიდანაც (ბათომის ო.) უნდა იქნეს დათმობილი, რომ ოსმალოებმა არ იფიქრონ, ვითომც ჩვენ რაღაც ეროვნულის მოსაზრებით ვხელმძღვანელობდეთ და ამიტომ არ მისცენ მოლაპარაკებას სხვა მიმართულება. შეიძლება ეგონოთ, რომ მიღება შეუძლიათ მარტო ყარსის ოლქში და აქეთკენ მოაწვენ...

თავმჯდომარე მოკლედ ყველას გასცემს პასუხს. საპასუხო განცხადება წარდგენილი იქნება, როგორც უკვე შედგენილია. ვინც არ ეთანხმება, მათი აზრი ოქმებში აღინიშნება...

**მარტის 22.**

საღამოს ოსმალოს დელეგატებმა ჩაიზე მიგვიწვიეს. საუბარი გაგვიგრძელდა და თითქმის ათ საათამდის დავრჩით.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ისევ ჩვენგან მოელიან დათმობას და თვითონ არაფერს ფიქრობენ.

ხანგრძლივი ბაასი ჰქონდათ დელეგაციების თავმჯდომარეებს. რაუფ-ბეი ამბობდა: თავისუფლად და დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოთ, თავი დაახწიეთ გარეშეების გავლენას. ოსმალეთი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მუდამ რყევაში იყო, ხან ერთი სახელმწიფოს გავლენას ემორჩილებოდა, ხან მეორისას. ამ ომის დროს ჩვენ გადაჭრით მივემხრეთ გერმანიას და დავადექით სრული დამოუკიდებლობის გზას. თქვენც ასე უნდა მოიქცეთ. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ თავისუფლება უმსხვერპლოთ არ მოიპოვების, უნდა რამე გასწიროთ, დათმოთ... გულახდილად გიცხადებთ, რომ სულით და გულით მოწადინებული ვარ, ადამიანთა შორის მართლა ადამიანური ურთიერთობა არსებობდეს და გაცილებით მირჩევნია სიკვდილი, ვიდრე ხელი შეუწყო იმ ინარქიას, რომელიც შესაძლებელია ამიერკავკასიაში...

ა. ჩხენკელმა განუმარტა, თუ რა გარემოებანი აბრკოლებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას; ჩვენ ადვილად ვერ ვურიგდებით რუსეთის ერთი მთლიანი რევოლიუციის ფრონტის დანაწილებას, ეს თუ მეთაურებისთვის გასაგებია, ფართო მასა ერთბაშად ვერ ითვისებს; კავკასიის ფრონტზე დიდ ძალი რუსის ჯარი იყო დარჩენილი და იგი მუდამ საფრთხეს წარმოადგენდა ჩვენთვის. გარდა ამისა ძველმა რეჟიმმა დიდი შუღლი და სიძულვილი დასთესა კავკასიის ერებს შორის და დღეს ყოველი ნაბიჯისათვის საჭიროა ხანგრძლივი მოლაპარაკება და შეთანხმება..

მერე გადავიდნენ სომხეთის საკითხზე. რაუფ ბეიმ სთქვა: რაიმე გარანტიების მიცემა ოსმალეთიდან გარდახვეწილ სომხების და სხ. უზრუნველ საყოფელად ყოვლად შეუწყნარებელია. სომხებს ექნებათ ისეთივე უფლებები, როგორიც აქვთ ოსმალეთის სხვა ქვეშევრდომებს. წინად სომხებთან კარგი დამოკიდებულობა გვქონდა, ვიდრე არ დაარსეს კომიტეტები და არ დაიწყეს მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი და დარღვევა ოსმალეთისა. ხელი აიღონ ყველაფერ ამაზე და შევრიგდებით.—აქ ლაპარაკში ჩაერია ა. ხატისოვი: თუ შეუძლებლად მიგაჩნიათ ჩვენი ჩარევა საქმეში, მაშინ თქვენ თვითონ მოელაპარაკეთ პირდაპირ თქვენს ქვეშევრდომებს, ოსმალეთის სომხებს და თქვენვე მოაწყეთ როგორმე მათი ბედი.—რაუფ ბეი უპასუხებს: თუ ოსმალეთსა და ამიერკავკასიას შორის მშვიდობიანობა და კეთილი მეზობლობა ჩამოვარდა, წინააღმდეგი არ ვიქნებით, თუ ამიერკავკასიის მთავრობა ერთგვარ შუამავლობის როლს იკისრებს ამ საქმეში...

რაუფ ბეიმ მიაქცია ა. ჩხენკელის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ გენ. ლევანდოვსკი, რომელიც საზავო მისიის წევრი იყო, რუსთა კრებაზე ტფილისში სიტყვა წარმოსთქვა ოსმალოს ჯარის კაცების წინააღმდეგ, რომ ლიახოვს ბათომის ფრონტზე უპირებდნენ დანიშვნას...

ოსმალეთის დელეგატის ექიმის და ვ. ღ—ის ბაასიც უფრო სომხებს შეეხებოდა. დელეგატმა სთქვა: სომხებმა ბევრი სიმწარე მოგვაყენეს, მთელი ევროპა ჩვენ წინააღმდეგ აამხედრეს და ვერ მოვითმენთ, რომ მომავალშიაც ასეთ ყოფაში ჩაგვაგდონ... ოსმალოს ექიმის სიტყვით, ოსმალეთის მთავრობა სადავო ტერიტორიებს არ დათმობს; საქმე თუ დაგვიანდა, შეიძლება იმან არ ისურვოს მოცდა და დაუყოვნებლივ უბრძანოს ჯარს სამხედრო მოქმედების დაწყება...

საერთოდ ეტყობოდათ ოსმალეთის ყველა დელეგატს, რომ დიდი სურვილი აქვთ ბათომის ხელში ჩაგდებისა...

**მარტის 23.**

დილას რადიოთი დეპეშა მივიღეთ: ბაქოში რამდენიმე დღეა ბოლშევიკებსა და მუსულმანებს შორის ბრძოლაა, ბათომის ოლქში ოსმალოს ჯარები საზღვარზე გადასულან და ჩვენებთან შეტაკება ჰქონიათ, ბათომის მახლობლად აჭარლების მოძრაობა ძლიერდება.

მეთორმეტე საათზე გაიმართა საზავო კონფერენციის მეექვსე სხდომა. ა. ჩხენკელმა წაიკითხა ჩვენი პასუხი ოსმალეთის 8 მარტის განცხადებაზე. ამის შემდეგ რაუფ ბეიმ გამოაცხადა: რადგან ეხლანდელი თქვენი დეკლარაცია შეეხება ძირითადს საკითხებს, ამიტომ ჩვენ შევეკითხებით ჩვენს მთავრობას სტამბოლში და ვიდრე საპასუხო დირექტივებს მივიღებდეთ, სხდომები შეწყვეტილი იქნება.

სხდომა გაგრძელდა ნახევარ საათს. მერე გაიმართა კერძო საუბარი. ა. ჩხენკელმა მიაქცია რაუფ ბეის ყურადღება იმაზე, რომ ზოგან ოსმალოს ჯარი საზღვრებზე გადავიდა და სამხედრო მოქმედებას აწარმოებს. იმან უპასუხა: თქვენის მხრითაც არის ასეთი მოქმედება, მაგალ. ხოფესთან ყუმბარა გადმოისროლეთ, აქ თქვენი შეიარაღებული გემი მოვიდა, რის უფლება არა გაქვთ. ყოველ შემთხვევაში თუ ოფიციალურად მომმართავთ, ჩემს მთავრობას დავეკითხები და პასუხს მოგცემთ.

კონფერენციის შემდეგ ჩვენს დელეგატებს თათბირი ჰქონდათ, თავმჯდომარემ ხელახლა აღძრა საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა: უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი სახე. წარმოვიდგინოთ, რომ ომი მოგვიხდა, ვის უნდა ეომოს ოსმალეთი რუსეთის შეამბოხე ნაწილს, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოს? გარდა ამისა, ასე არ უნდა გამოვიდეს, რომ თითქოს ოსმალეთის ძალდატანებით მივიღეთ დამოუკიდებლობა. იგი საჭიროა ჩვენთვის და თუ ეხლავე გამოვაცხადებდით, ამას ერთგვარი გავლენა ექნება საზავო მოლაპარაკების პროცესზე.

რ. კაჩაზნუნი არ ეთანხმება: გარემოება არ გამოცვლილა და ამიტომ წინანდელი ჩვენი გადაწყვეტილება უნდა დარჩეს ძალაში. გაჯინსკი ამბობს: ბაქოში ისეთი ამბებია, ისე მოწყვეტილი ვართ ყველაფერს, რაც ჩვენში ხდება, რომ დანამდვილებით არ ვიცით, ამიერკავკასია კიდევ არსებობს, თუ ზოგიერთი მისი ნაწილი უკვე რუსეთს შეუერთდა. ასეთ პირობებში რო ვორ შეგვიძლია მაგნაირი საკითხის გადაჭრა...

რადგან ოსმალთა პასუხი ალბად რამდენიმე დღის შემდეგ მოვა და თან მინდა გავიგო, რა ამბებია ჩვენში, არის რაიმე მზადება, შეგვიძლია გაუმკლავდეთ მტერს თუ არა,—ამიტომ ამ საღამოს ტფილისში მივდივარ ოთხი-ხუთი დღით.

წამოსვლისას საღამოს გამოვიარეთ მოედანზე, სადაც მრავალი ყუთი ელაგა პატრონებისა ჩვენსკენ გამოსაგზავნად.

უნებურად შევჩერდით. გულში გავიფიქრე: ვინ იცის, ეს ტყვია რომელს ჩვენს მახლობელს, ამხანაგს, მეგობარს გაუგმირავს გულს?

ნავთსადგურზე წინანდებურად ფაცა-ფუცი აქვთ ოსმალოებს. ემზადებიან ომისთვის.

გემზე ვესაუბრეთ რუს კაპიტანს ეხლანდელი ამბების შესახებ. მწარედ, ღრმა გამოუთქმელის ნაღველით გვითხრა: რა იყო რუსეთი და რა არის დღეს—ოსმალეთის უარესი, აბუჩად აგდებული, ფეხით გათელილი!..

**მარტის 24.**

დილით ადრე უკვე ბათომში ვართ. გავედით ქალაქში, რომ გ... საჩქაროდ, რა ამბებია, როგორი მდგომარეობაა.

ვნახე ამხანაგები სანუგეშო ვერაფერი სთქვეს. მზად არ ვართ...

ვიყავით კომენდანტთან... მერე ქალაქის საბჭოში. დაწვრილებით გავაცანით ტრაპიზონის კონფერენციის მუშაობა. ვსთქვით, თუ რა მცირეა იმედი იმის, რომ ოსმალეთი რასმე დასთმობს, რომ მოლაპარაკება ზავით გათავდება.

ვნახე ს. მდივანი, რომელმაც სამწარით გადმომცა უკანასკნელი დროის ამბები...

ვიყავით სხვა და სხვა ალაგას. ყველგან ერთი და იგივე ლაპარაკი. ყველგან ცუდის მდგომარეობის ...

არაჩვეულებრივის სიყვარულით ... კვირდები ბათომის ქუჩებს, შენობ... ბაღს და ერთი გამოუთქმელი ნაღველ... თან მსდევს: ნუ თუ უკანასკნელ... ვხედავ აქაურობას?

ცა მოღრუბლულია, თითქოს ბუნებაც რაღაც სიმწარეს ჰგრძნობსო. ყოველ ჩამოსვლის დროს ... ღიმილით მომეგებებოდა ... სიხარულით აავსებდა ჩემს გულს და ეხლა კი და ღვრემილი იყო...

ბინდით მოცული არემარე მომაგონებდა ძვირფას ავადმყოფს, რომელსაც უდიდესი კრიზისი მოსდგომ... კარს.

ბაღში ვისხედით. ყავას ვსვამდით ვლაპარაკობდით. მაგრამ არაფერს ვ... დავდი, არა მესმოდა რა. ჩემი ფიქ... ჩემი არსება სადღაც იყო გატაცებ... ლი. ცრემლი ემზადებოდა თვალებ... დასანამებლად...

სადგურზე ვართ. დღეს მტერ... მხედრო მოქმედები გაუძ... უკვე არტილერია ამოძრავდ... ლა უკვე ბათომიდან ... ხდება. არიან მოკლულებ... მხრით.

ჩაქვის თავზედაც ყოფილა ... ბა. აქაც მოუკლავთ რამდენი... რული...

გზაში შევხვდნენ ლანჩხუთე... ხები, სახლში ბრუნდებოდნენ ... ლის წამოსაღებად. იშვიათს ს... იჩენენ საერთოდ გურულები, ... ვინ რჩება, უპატრონოდ ს... მშიერს ცოლშვილს და თავდა... მიდიან სამშობლოს დასაცავად...

გადავხედეთ კიდევ ბათომს და ... მიდამოებს.

არა, არა! შეუძლებელია ამას... მამა, ამას დატოვება!..*)

**სამსონ ფირცხ...**

—

*) ტფილისში ჩამოვედი ... დღით, რომ დაწვრილებით ... ური მდგომარეობა და ... ბულიყავ ტრაპიზონში. მაგრამ, სამ... ხაროდ, საქმე ისე დატრიალდა, რომ ... ვეღარ მოვიხდა დაბრუნება. ს. ფ...

